ფული და ფულის ეკვივალენტები არიან ისეთი ერთეულები, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია უკვე განსაზღვრული თანხის ფულად ერთეულებად და ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი აქვთ. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური

ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების

პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით.

აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ან შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ

კავშირშია აქტივის შეძენასთან. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის სამუშაო

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს, ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან მოხსნის ღირებულებას.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

შემდგომი ხარჯები

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლურობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება „კომპანიის“ მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარის პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების
	ვადა
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	15%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“, „ფსწე“), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

აქტივის ან „ფსწე“-ს ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. აღიარებული გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში გამოყოფილია აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად თანაბარი პროპორციის საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

მარაგები

კომპანიის მარაგები წარმოადგენს ავტომობილებსა და ავტონაწილებს. მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საქონელი გზაში წარმოადგენს ყველა იმ საქონელს, რომელიც შესყიდული და გადაზიდვას დაქვემდებარებულია, თუმცა ჯერ არ არის მიწოდებული. საქონელზე რისკები და სარგებელი გადაცემულია კომპანიისათვის, მათი გადაზიდვის ადგილმდებარეობიდან.

გადახდილი ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება მფლობელების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალად კომპანიის მთლიან კაპიტალში, იმდენად, რამდენადაც იგი შეესაბამება კომპანიის მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები არის გაუნაწილებელი მოგების განაწილება მათი გამოცხადების პერიოდში ან პერიოდის შემდგომ.

საგადასახადო აქტივი/ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საგარანტიო ანარიცხები

კომპანია იძლევა გარანტიას დეფექტების ზოგად რემონტზე და გაყიდვის მომენტში არსებული დაზიანებული ერთეულ(ებ)ის გამოცვლაზე, იმის რწმუნების უზრუნველსაყოფად, რომ გაყიდული პროდუქტები შეესაბამებოდეს შეთანხმებულ ხარისხს. კომპანია გაყიდულ ავტომობილებზე იძლევა გარანტიას 5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავა, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელს ან 150,000 კილომეტრი გარბენის ფარგლებში სრულ ავტომანქანაზე გარდა სწრაფცვითადი ნაწილებისა და მასალებისა. ანარიცხი მოიცავს შემთხვევების დიდ რაოდენობას და ფასდება ყველა შესაძლო შედეგისა და მათი ალბათობების შეწონვით წარსული გამოცდილების საფუძველზე. საგარანტიო შემთხვევები არსებითად სრულად ანაზღაურდება მომწოდებლის მიერ. შესაბამისად, ანარიცხის აღიარებისას კომპანია აღიარებს მოთხოვნას მესამე მხარის მიმართ. სამომავლოდ მისაღები შემოსავლის დადისკონტირებული ღირებულებით. კომპანია საგარანტიო მომსახურებისთვის მიღებულ შემოსავალს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში წარადგენს ნეტო საფუძველზე, საგარანტიო ხარჯების გამოქვითვის შემდეგ.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოეღოს ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი”

მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის საქონლის (ავტომობილებისა და ავტონაწილების) მიწოდება, აგრეთვე მომსახურების გაწევა.

დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

შემოსავალი საქონლის (ავტომობილებისა და ავტონაწილების) რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება ძირითადად დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა, ან წინასწარ გადახდილი ავანსის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების შესაბამისად, ხოლო ამონაგები ერთჯერადი მომსახურებიდან მაგ. სათადარიგო

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ნაწილის შეცვლა, აღიარდება მაშინ, როდესაც აღნიშნული ერთჯერადი მომსახურება მიეწოდება მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება წინასწარ, ან როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ მომსახურების მიღება.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი სახელშეკრულებო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. სახელშეკრულებო ღირებულება, ასევე, მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ შესყიდვაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება. კომპანია განიხილავს, არის თუ არა ხელშეკრულებაში ისეთი დაპირებები, რაც წარმოადგენს ცალკე შესასრულებელ ვალდებულებას, რომელზეც უნდა გადანაწილდეს გარიგების ფასის ნაწილი (მაგ. გარანტიები). კომპანიის მიერ ხდება პროდუქციის რეალიზაცია გარანტიით, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელს გარანტიის პერიოდში შეკეთების ან დეფექტური პროდუქციის შეცვლის მომსახურებით თუ რეალიზებული პროდუქტი არ იფუნქციონირებს ისე, როგორც მხარეებს წინასწარ ჰქონდათ განსაზღვრული. ფასს 15-ის მიხედვით, ასეთი გარანტიები არ წარმოადგენს განსხვავებულ შესასრულებელ ვალდებულებას, შესაბამისად მათზე არ ხდება ამონაგების გადანაწილება. ამგვარი ანარიცხვები აღიარებულია ბასს 37 „ანარიცხვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივების“ შესაბამისად.

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისგან მიღებულია თანხა ან თანხის გადახდის ვადა დადგა (რომელიც უფრო ადრე მოხდება) კომპანიის მიერ შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე. სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას,

თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები

თუ კომპანია არის იჯარის გამცემი ისეთ იჯარაში, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს იჯარის მიმღებს, იჯარით გადაცემული აქტივები აისახება, როგორც ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები და აღირიცხება სამომავლო საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით. ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება საწყისი თარიღით (როდესაც იწყება იჯარის ვადა) იჯარის გაფორმების თარიღით (საიჯარო ხელშეკრულების ვადასა და მხარეების მიერ იჯარის მთავარი პირობების შესრულების ვალდებულების აღების თარიღს შორის უადრესი) დადგენილი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

სხვაობა მთლიან მოთხოვნებსა და მის დღევანდელ ღირებულებას შორის წარმოადგენს გამოუმუშავებელ ფინანსურ შემოსავალს. ამ შემოსავლის აღიარება ხდება იჯარის ვადის განმავლობაში იჯარაში ნაგულისხმევი განაკვეთის გამოყენებით. დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება იჯარაზე მოლაპარაკებას და იჯარის გაფორმებას, აისახება ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების თავდაპირველ შეფასებაში და ამცირებს საიჯარო ვადის განმავლობაში შემოსავლის ოდენობას. იჯარებიდან ფინანსური შემოსავალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. საკრედიტო ზარალის რეზერვის აღიარება ხდება ზოგადი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება იმავე წესით, როგორითაც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და აღიარდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება ჩამოიწეროს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე, რომელიც დისკონტირებულია ფინანსურ იჯარებში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადები ასახავს იმ ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას იჯარას დაქვემდებარებული აქტივების მიღებიდან და გაყიდვიდან.

ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

კომპანიის ფინანსური შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხებიდან და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალს.

კომპანიის ფინანსური ხარჯი მოიცავს მიღებულ სესხებზე და საბანკო გარანტიებზე, აგრეთვე საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯებს.

ფინანსური შემოსავალი (ხარჯი) აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლის პროპორციულად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი

მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

4. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედული, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ქვემოთ მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი არეები, რომლებიც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს:

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები** - იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს კომპანიის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადად შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ კომპანიის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება.

დაწყების თარიღის შემდეგ, კომპანია საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევანის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სპეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) გაზომვისას კომპანია ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით და ამისთვის იყენებს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მსდ-ის გასაზომად კომპანია აჯგუფებს სავაჭრო მოთხოვნებს მსგავსი ვადიანობისა და საკრედიტო რისკის საფუძველზე. მოსალოდნელი დანაკარგის განაკვეთის დაანგარიშება ეფუძნება კომპანიის საკრედიტო ზარალების ბოლო სამი წლის ისტორიულ მონაცემს. საკრედიტო დანაკარგების ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და სამომავლოდ პროგნოზირებადი ინფორმაციით, იმ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ კომპანიის მომხმარებლებზე.

საგარანტიო ანარიცხები - განუსაზღვრელობებისადმი, რომლებიც თან ახლავს ანარიცხად ასაღიარებელ თანხას, სხვადასხვა პირობის გათვალისწინებით, არსებობს განსხვავებული სახის მიდგომა. როდესაც შესაფასებელი ანარიცხი მოიცავს შემთხვევების დიდ რაოდენობას, მოვალეობა ფასდება ყველა შესაძლო შედეგისა და მათი ალბათობების შეწონვით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული

განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არის ლიკვიდური, ან არის მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის რისკის წარმომქმნელი ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიებია:

- ფული და ფულის ეკვივალენტები
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები
- მიღებული სესხები
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
- საიჯარო ვალდებულებები

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ რეპორტებს, რომლის მეშვეობითაც ხდება პროცესის ეფექტურობისა და პოლიტიკების შემოწმება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი;
 - საპროცენტო რისკი;

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება კომპანიის მიზნებისთვის, კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების მიხედვით.

საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინტიტუტებში.

კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესიო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულადი ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მაჩვენებლები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
აქტივებისგამოყენების უფლება	-	1,214,224	-	1,214,224
გადახდილი ავანსები	4,627,641	-	-	4,627,641
მარაგები	9,630,903	-	-	9,630,903
საგადასახადო აქტივები	365,252	-	-	365,252
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	445,711	-	-	445,711
მოკლევადიანი ინვესტიციები	2,872	-	-	2,872
ფული ფა ფულის ექვივალენტ	7,277,267	-	-	7,277,267
სულ ფინანსური აქტივები	22,349,647	1,214,224	-	23,563,871
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	(7,106,364)	-	-	(7,106,364)
საიჯარო ვალდებულებები	(326,378)	(924,258)	-	(1,250,637)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(437,753)	-	-	(437,753)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(7,870,495)	9924,258)	-	(8,794,753)
წმინდა პოზიცია	14,479,152	289,965	-	14,769,117

კომპანიის ლიკვიდურობის რისკის მაჩვენებლები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
აქტივებისგამოყენების უფლება	-	1,549,483	-	1,549,483
გადახდილი ავანსები	9,302,328	-	-	9,302,328
მარაგები	5,107,616	-	-	5,107,616
საგადასახადო აქტივები	322,597	-	-	322,597
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,909,212	-	-	3,909,212
მიმდინარე ინვესტიციები	229,932	198,158	-	3,909,212
ფული ფა ფულის ექვივალენტ	8,384,995	-	-	8,384,995
სულ ფინანსური აქტივები	27,257,280	1,747,640	-	29,004,921
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	(11,047,210)	-	-	(11,047,210)
საიჯარო ვალდებულებები	(387,274)	(1,102,251)	-	(1,489,525)

შპს „კია საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(259,201)	-	-	(259,201)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(11,693,685)	(1,102,251)	-	(12,795,936)
წმინდა პოზიცია	15,563,595	645,389	-	16,208,984

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა, რომ დააკმაყოფილოს ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტური, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	241,324	-	204,388	445,711
ფინანსური იჯარა	-	-	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,275,158	22,576	2,979,533	7,277,267
	4,516,482	22,576	3,183,921	7,722,979
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	437,753	-	-	437,753
მიღებული სესხები	-	-	7,106,363	7,106,363
საიჯარო ვალდებულებები	-	1,250,637	-	1,250,637
	437,753	1,250,637	7,106,363	8,794,753
ღია საბალანსო პოზიცია	4,078,729	(1,228,060)	(3,922,443)	(1,071,774)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,871,993	-	37,219	3,909,212
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	-	428,090	428,090
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,105,380	25,516	1,254,099	8,384,995
	10,977,373	25,516	1,719,408	12,722,297
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	159,984	99,217	-	259,201
მიღებული სესხები	-	-	11,047,210	11,047,210

საიჯარო ვალდებულებები	-	1,489,525	-	1,489,525
	159,984	1,588,742	11,047,210	12,795,936
ღია საბალანსო პოზიცია	10,817,389	(1,563,226)	(9,327,802)	(73,640)

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
სავალუტო რისკის სენსიტიურობა	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი	(245,612)	245,612	(312,645)	312,645
ევროს ეფექტი	(784,489)	784,489	(1,865,560)	1,865,560

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი დაკავშირებულია საპროცენტო ხარჯის წარმოქმნელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საპროცენტო რისკის ცვალებადობიდან გამომდინარე. კომპანიას აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი მიღებულ სესხებსა და საიჯარო ვალდებულებებზე. კომპანიამ განსაზღვრა ზღვრული საპროცენტო განაკვეთი საიჯარო გადასახდელებისთვის და დაიანგარიშა როგორც საშუალო-შეწონილი განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიღებული სესხები წარმოდგენილია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. ამ სესხების მთლიანი საბალანსო ღირებულება არის 7,106,363 ლარი.

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს 7-ის შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის

გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. აქედან გამომდინარე ისინი არ არიან წარმოდგენილნი ფასს 7-ის რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანი კაპიტალის მხარდაჭერის პროცესში არის შემდეგი:

- უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირება; და
- კომპანიის მფლობელებს მოუტანოს შესაბამისი ამოგება.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	აგეჯი და საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	126,799	130,389	151,694	709,370	1,118,252
შემოსვლა	-	111,429	64,372	552,278	728,079
გასვლა	-	-	(41,110)	-	(41,110)
2023 წლის 31 დეკემბერი	126,799	241,818	174,956	1,261,648	1,805,221
შემოსვლა	43,193	16,690	143,683	13,313	216,878
გასვლა	-	-	(110,584)	-	(110,584)
2024 წლის 31 დეკემბერი	169,992	258,508	208,055	1,274,961	1,911,515
ცვეთა					
2022 წლის 31 დეკემბერი	(62,420)	(38,646)	(16,427)	(118,219)	(235,712)
დარიცხული ცვეთა	(9,657)	(30,007)	(36,992)	(150,861)	(227,517)
გასული აქტივის ცვეთა	-	-	9,589	-	9,588
2023 წლის 31 დეკემბერი	(72,077)	(68,653)	(43,830)	(269,080)	(453,641)
დარიცხული ცვეთა	(14,627)	(35,308)	(31,152)	(149,006)	(230,094)
გასული აქტივის ცვეთა	-	-	37,602	-	37,602
2024 წლის 31 დეკემბერი	(86,704)	(103,961)	(37,380)	(418,086)	(646,132)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2022	64,379	91,743	135,267	591,151	882,540
31 დეკემბერი 2023	54,722	173,165	131,126	992,568	1,351,581
31 დეკემბერი 2024	83,287	154,547	170,675	856,875	1,265,384

7. იჯარები

კომპანია ქ. თბილისში ქირაობს შენობას, სადაც განთავსებული აქვს სათავო ოფისი და შოურუმი. კომპანია, ასევე, 2023 წლიდან ქირაობს მიწის ნაკვეთს, სადაც განთავსებული აქვს შენობა მომსახურების გაწევისთვის. ამ ფართებისთვის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში და განსაზღვრულია აშშ დოლარში. იჯარების ვადიანობა განსაზღვრულია 5-6 წლამდე 2024 და 2023 წლისათვის. იჯარების ზღვრული საპროცენტო განაკვეთი 2024 წლისთვის შეადგენდა 7.05% (2023: 7.05%-7.98%).

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
წლის დასაწყისში	1,549,483	1,089,639
ახალი იჯარა	-	420,842
იჯარის მოდიფიკაცია	-	457,011
იჯარის შეწყვეტა	-	(82,448)
ცვეთა	(335,259)	(335,561)
წლის ბოლოს	1,214,224	1,549,483

7. იჯარები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად:

	2024	2023
წლის დასაწყისში	1,489,525	993,553
ახალი იჯარა	-	420,842
იჯარის მოდიფიკაცია	-	457,011
საპროცენტო ხარჯი	97,610	112,294
საიჯარო გადასახდელები	(393,650)	(370,259)
იჯარის შეწყვეტა	-	(69,351)
საკურსო სხვაობა	57,152	(54,565)
წლის ბოლოს	1,250,637	1,489,525

8. მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გასაყიდად გამიზნული ავტომობილები	8,079,719	3,898,715
გასაყიდად გამიზნული ავტონაწილები	786,324	703,757
საქონელი გზაში	764,860	497,855
სხვა	-	7,289
	9,630,903	5,107,616

9. საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო ღირებულებით, როგორც აქტივს 365,252 და 322,597 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები ავტომობილების გაყიდვიდან	442,755	4,124,341
მოთხოვნები სათადარიგო ნაწილების გაყიდვიდან	384,391	286,026
სხვა მოთხოვნები	43,998	47,377
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(425,432)	(548,532)
	445,712	3,909,212

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი სამართლიანი ღირებულებისაგან.

იმისათვის, რომ განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი, კომპანია იყენებს გამარტივებულ მეთოდს ფასს 9-ის შესაბამისად. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განსაზღვრისთვის, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით.

გარდა მაკროეკონომიკური ფაქტორებისა, ხელმძღვანელობამ, ასევე, გაითვალისწინა, კომპანიის მომხმარებელთა ცალკეული სეგმენტის ინდივიდუალური მახასიათებელი, სხვა დამატებითი გარემოებები და რისკ ფაქტორები, რომელიც ასახავს ისეთ გავლენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთზე, რასაც არ ითვალისწინებს მაკროეკონომიკური ფაქტორები.

შპს „კია საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	1-30 დღე	31-60 დღე	61-90 დღემდე	90-დან 180 დღემდე	180-360 დღემდე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	11%	55%	80%	100%	
სავაჭრო მოთხოვნა							
მთლიანი ღირებულება	254,641	1,189	135	4,172	9,102	413,259	682,498
ანარიცხი							
მოსალოდნელ დანაკარგზე	2,546	36	15	2,294	7,282	413,259	425,432

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	1-30 დღე	31-60 დღე	61-90 დღემდე	90-დან 180 დღემდე	180-360 დღემდე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	11%	55%	80%	100%	
სავაჭრო მოთხოვნა							
მთლიანი ღირებულება	3,890,734	28,948	18,420	19,436	20,919	479,305	4,457,762
ანარიცხი							
მოსალოდნელ დანაკარგზე	38,907	868	2,026	10,690	16,735	479,305	548,532

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	548,532	561,876
ზრდა საანგარიშგებო წლის მანძილზე	32,816	112,184
ამოღება	(155,916)	(120,819)
გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	425,432	553,241
ჩამოწერა წლის განმავლობაში	-	(4,709)
31 დეკემბერი	425,432	548,532

11. გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ავანსები ავტომობილებისთვის	4,529,181	9,228,207
ავანსები სათადარიგო ნაწილებისთვის	53,567	34,171
სხვა	44,893	40,550
	4,627,641	9,302,928

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული სალაროში	1,265	2,603
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,273,893	7,102,771
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,002,109	1,279,622
	7,277,267	8,384,995

კომპანიას ერიცხება საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე . დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 2024 წელს შეადგინა 699,381 ლარი (2023: 346,111 ლარი).

საპროცენტო შემოსავალი დაერიცხა შემდეგი ბანკებისგან:

- თიბისი ბანკი: ლარის ანგარიშზე - 10,279 ლარი, დოლარის ანგარიშზე - 1,686 ლარი;
- ლიბერთი ბანკი: ლარის ანგარიშზე - 235 ლარი;
- საქართველოს ბანკი: ლარის ანგარიშზე - 668,245 ლარი, ევროს ანგარიშზე - 12,097 ლარი;
- იმბანკი საქართველო: ლარის ანგარიშზე - 5,916 ლარი, ევროს ანგარიშზე - 922 ლარი.

ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

13. კაპიტალი

კომპანიის ჯამური კაპიტალი შედგება 2 პუნქტისაგან: საწესდებო კაპიტალი, რომელშიდაც საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა შენატანი და 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 8,884,747 ლარს.

გაუნაწილებელი მოგება, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 6,384,477 ლარს, რის შემდეგაც საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ მიიღო 3,706,369 ლარის მოგება და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელმა მოგებამ შეადგინა 6,388,294 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ დივიდენდის სახით გასცა 3,702,552 ლარი.

14. სახელშეკრულებო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სახელშეკრულებო ვალდებულებები ავტომობილების მიწოდებაზე *	75,390	1,168,672
სახელშეკრულებო ვალდებულებები სათადარიგო ნაწილებისთვის	488,019	782,273
სახელშეკრულებო ვალდებულებები მომსახურებისთვის	162,673	260,758
სხვა	60,907	93,581
	786,988	2,305,284

სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს მიღებულ ავანსებს.

15. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

მსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2024
სესხი 1	ევრო	9.00%	11.06.2025	5,162,859
სესხი 2	ევრო	10.00%	29.04.2025	984,520
სესხი 3	ევრო	10.00%	14.04.2025	823,196
სესხი 4	ევრო	10.00%	01.04.2025	129,872
დარიცხული პროცენტი				5,915
				7,106,363

ყველა სესხი არის მიღებული რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებიდან.

მიღებული სესხები შეიცავს ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებს. შეზღუდვები გამოითვლება შპს „კია საქართველოს“ და მისი რეზიდენტი დაკავშირებული მხარეების ფინანსური მონაცემების საფუძველზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ შეუფასებია და არ გამოუთვლია შეზღუდვების შესრულება. უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული სესხები არის მოკლევადიანი.

მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

მსესხებელი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	31 დეკემბერი 2023
სესხი 1	ევრო	9.00%	19.04.2024	6,757,005
სესხი 2	ევრო	6.15%-10.2%	20.12.2024	2,975,300
სესხი 2	ევრო	6.15%-10.2%	20.05.2024	1,309,132
დარიცხული პროცენტი				5,773
				11,047,210

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სესხები უზრუნველყოფილი იყო დაკავშირებული მხარის თავდებობით. უზრუნველყოფის მაქსიმალური მოთხოვნის თანხაა 10,000,000 აშშ დოლარი. აღნიშნული ფინანსური გარანტიის კონტრაქტთან დაკავშირებით კომპანიას არ გაუკეთებია ნაშთების კორექტირება, არაარსებითობიდან გამომდინარე.

მიღებულ სესხებში მომხდარი ცვლილებები 2024 და 2023 წლების მდგომარეობით შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
1 იანვარი	11,047,210	8,461,389
ფულადი მოძრაობა		
სესხის აღება	32,292,890	41,937,733
გადახდილი ძირი	(36,203,217)	(39,285,234)
გადახდილი პროცენტი	(1,089,319)	(784,494)
არაფულადი მოძრაობა:		
სესხის პროცენტის დარიცხვა	1,089,902	773,572
საკურსო სხვაობა	(31,102)	(55,756)
31 დეკემბერი	7,106,364	11,047,210

16. ამონაგები

	2024	2023
ავტომობილების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	31,537,849	52,887,175
ავტონაწილების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	4,396,743	3,035,173
სერვისის გაწევიდან მიღებული ამონაგები	1,892,989	1,034,498
	37,827,581	56,956,846

ყველა სახის ამონაგები აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, გარდა მომსახურების ნაწილისა, რომელიც აღიარდება დროთა განმავლობაში.

17. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
გაყიდული ავტომობილების თვითღირებულება	(26,422,694)	(42,995,740)
გაყიდული ავტონაწილების თვითღირებულება	(2,662,753)	(1,611,361)
ხელფასი და სხვა სარგებელი	(1,111,690)	(522,382)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(714,438)	(528,304)
ცვეთა	(92,432)	(143,606)
	(31,004,007)	(45,801,393)

18. სხვა შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	95,054	11,151
გადასახდელი ვალდებულების ჩამოწერა	18,530	891,117
შემოსავალი პირგასამტეხლოდან	3,573	45,052
სხვა	8,658	98,378
	125,815	1,045,698

კომპანიამ ერთ-ერთ მოსარჩელესთან მიაღწია შეთანხმებას არსებული დავალიანების ფასდაკლებით დაფარვის შესახებ. ფასდაკლების შედეგად მიღებულმა სარგებელმა შეადგინა 2024 წელს 18,530 ლარი, ხოლო 2023 წელს 891,117 ლარი.

19. გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები

	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	(437,468)	(390,007)
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯი	(365,088)	(309,007)
ხელფასი და სხვა სარგებელი	(113,103)	(367,509)
სხვა	(101,104)	(90,121)
	(1,016,763)	(1,156,645)

20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასი და სხვა სარგებელი	(260,556)	(593,875)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	(213,140)	(207,329)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(123,367)	(42,266)
კომუნალური ხარჯი	(93,780)	(86,799)

დაზღვევის ხარჯი	(50,384)	(43,393)
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები	(39,663)	(60,892)
ცვეთა და ამორტიზაცია	(38,759)	(32,940)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(36,116)	(60,080)
სამეურნეო ხარჯი	(35,612)	(198,691)
ძირითადი საშუალების ჩამოწერის ხარჯი	(16,304)	(12,724)
მოკლევადიანი საიჯარო ხარჯი	(7,281)	(9,564)
სხვა	(329,009)	(135,686)
	(1,243,969)	(1,484,239)

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია იხილეთ 23-ე შენიშვნაში.

21. ფინანსური ხარჯი

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე	(1,089,902)	(773,572)
საპროცენტო ხარჯი საბანკო გარანტიებზე	-	(112,129)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(97,610)	(112,294)
	(1,187,512)	(997,995)

22. წინა პერიოდის შეცდომები

წინა პერიოდის კორექტირებები

საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (IFRS 37) შესაბამისად, გარანტია წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც უნდა აღირიცხოს მაშინ, როდესაც არსებობს სავარაუდო გასავალი მომავალში. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის საგარანტიო ხარჯებს სრულად ანაზღაურებს მთავარი მომწოდებელი კომპანიას არ ექმნება ეს ვალდებულება.

შესაბამისად, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება დაკორექტირდა რეტროსპექტულად. განულდა გრძელ და მოკლევადიანი გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები და იდენტიური ოდენობის გრძელ და მოკლევადიანი საგარანტიო ანარიცხები, რათა მომხდარიყო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სწორად ასახვა.

აღნიშნულმა კორექტირებამ გავლენა არ იქონია კომპანიის 2023 წლის მოგება/ზარალზე, თუმცა, მან გავლენა მოახდინა წინა პერიოდების საბოლოო ნაშთებზე.

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	31 დეკემბერი 2023	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი 2023 (შეცვლილი)
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები	1,507,099	(1,507,099)	-	-
საგარანტიო ანარიცხი	1,507,099	(1,507,099)	-	-
ფინანსური ანგარიშგების მუხლი	1 იანვარი 2023	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	1 იანვარი 2023 (შეცვლილი)
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები	1,213,729	(1,213,729)	-	-
საგარანტიო ანარიცხი	1,213,729	(1,213,729)	-	-

23. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნდა არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ არ მოხდებოდა მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგანაც კომპანიის დამფუძნებლები არიან რეზიდენტი საწარმოები და მოგების გადასახადი აღიარდება მხოლოდ დივიდენდის ფიზიკურ პირზე განაწილების შემთხვევაში.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორიცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

გარანტიები

საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში კომპანია სარგებლობს საბანკო გარანტიებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია საბანკო გარანტიები, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო გარანტიის მოცულობა არ ყოფილა არსებითი.

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 და 2023 წლის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

ტრანზაქციები	2024	2023
მოგების განაწილება	3,702,552	4,488,822
მომსახურების შესყიდვა	919,368	457,073

შპს „კია საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

დავალიანების გადახდა	815,019	539,460
მიღებული თანხები	645,426	968,578
საქონლის რეალიზაცია	427,049	116,513
შემწეობა	75,906	118,947
თანხის უკან დაბრუნება	58,819	782,602
მომსახურების ანარიცხი	29,138	922,126
სავაჭრო მოთხოვნებში გადატანა	20,300	63,097
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	12,891	18,488
მივლინების ხარჯი	10,375	2,258
საქონლის და ნედლეულის შეძენა	296	4,124
სესხის გაცემა	-	162,062
გაცემული სესხიდან მიღებული შემოსავალი	-	160,039
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	-	445
მიღებული ავანსები	-	47,859
ჯარიმები	-	45,214
სარეკლამო ხარჯები	-	14,576
მომწოდებელზე გადახდილი ავანსი	-	3,637
სხვა	3,251	6,386
	6,720,390	8,922,306

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	29,442	110,003
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(98,561)	(47,379)
	(69,118)	62,624

ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასსა და სხვა ანაზღაურებას. 2024 და 2023 წლების განმავლობაში ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ შეადგინა 136,311 ლარი და 311,803 ლარი წლების შესაბამისად.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და ხელმოწერილი იქნა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 31 ივლისს.

ანგარიშგების პერიოდის შემდეგ და ანგარიშის გამოქვეყნების თარიღამდე მოხდა შემდეგი მოვლენები:

- 2024 წლის იანვარში გამოცემული კრების ოქმის თანახმად, შპს "ნიუ ინვესტზე" გამოცხადდა 2024 წლის დივიდენდების მაქსიმალური მოცულობა არაუმეტეს 87,819 ათასი ლარით, ხოლო შპს "რეინვესტზე" არაუმეტეს 87,819 ათასი ლარით.
- 2024 წლის ივნისში კომპანიამ ერთ-ერთ ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტთან გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება რომლის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 3,682 ათას ლარს, ხოლო ვადა განსაზღვრულია 2025 წლის 11 ივნისამდე. აღნიშნული საკრედიტო ხაზის ფარგლებში კომპანია ვალდებულია დააკმაყოფილოს გარკვეული ფინანსური და

არაფინანსური შეზღუდვები. შეზღუდვების დაკმაყოფილება დამოკიდებულია როგორც შპს „კია საქართველოს“ ასევე, მისი რეზიდენტი დაკავშირებული მხარის ფინანსურ მონაცემებზე.

- 2025 წლის 29 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (საქმე No2/1615-25), ალექსანდრე ხალილოვის მიერ შეტანილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, დაყადაღებული იქნა შპს „IBG Holding“-ის პარტნიორი კომპანიის, შპს „კია ჯორჯიას“ აქციები, ასევე სხვა შვილობილი კომპანიების აქციები. შეზღუდვა დაკავშირებულია ხალილოვის ბრალდებებთან, რომლითაც ის ეჭვქვეშ აყენებს აქციების გადაცემის კანონიერებას და მის მოთხოვნას მათი ბათილად ცნობის შესახებ. დავა ამჟამად განიხილება როგორც საქართველოს სასამართლო სისტემაში, ასევე საერთაშორისო არბიტრაჟულ ორგანოში (VIAC, ვენა).



მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის შედეგების მიხედვით

I. დირექტორის მიმართვა

პატივცემულო პარტნიორებო

ეს წელიწადი ჩვენთვის გახდა ახალი გამოწვევების, კომპანიის წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისადმი ახალი მიდგომების წელი. ჩვენ შევძელით დასახული გეგმების რეალიზაცია, რაც კომპანიის ყველა თანამშრომლის შეთანხმებული მუშაობის შედეგია. ფინანსური თვალსაზრისით კომპანიამ შეძლო და შეასრულა დასახული ამოცანების ნაწილი.

შპს კია საქართველო გამოცდილი, მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელობით და თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული, რომელთაგან ბევრს აქვს თხუთმეტი-ოცი წლის გამოცდილება თავიანთ სფეროებში. შპს კია საქართველოს აქვს ადგილობრივი საავტომობილო ბიზნესის დიდი გამოცდილება და კარგად იცნობს სექტორების კონკრეტულ პრობლემებს.

კომპანია მუდმივად ახორციელებს ღონისძიებებს თანამშრომელთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შრომის უსაფრთხო და კომფორტული პირობების უზრუნველსაყოფად. ყოველწლიურად ხდება თანამშრომლების გადამზადება მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რისი შედეგიც ამაღლებულ და ეფექტურ მწარმოებლურობაში ვლინდება.

2024 წელს საზოგადოების საქმიანობა კვლავ მიმართული იყო საზოგადოების სტაბილურობის, მომგებიანობისა და საინვესტიციო მიზიდველობის უზრუნველყოფაზე, ასევე პარტნიორების ინტერესების დაცვაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

შპს კია საქართველოს მუშაობის პრიორიტეტი მომავალ წელსაც იქნება კომპანიის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მომხმარებლისთვის განახლებული პროდუქტის შეთავაზებით, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და დამატებითი სერვისების განვითარების ხარჯზე.

ვვარაუდობთ, რომ მენეჯერთა ჩამოყალიბებულ ეფექტურ გუნდს და კოლექტივს გააჩნია საკმარისი პოტენციალი იმისათვის, რომ გადაჭრას დასახული ამოცანები 2025 წელშიც.

შპს კია საქართველოს დირექტორი
გიორგი ამაშუკელი

31.07.2025



მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის შედეგების მიხედვით

I. დირექტორის მიმართვა

პატივცემულო პარტნიორებო

ეს წელიწადი ჩვენთვის გახდა ახალი გამოწვევების, კომპანიის წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისადმი ახალი მიდგომების წელი. ჩვენ შევძელით დასახული გეგმების რეალიზაცია, რაც კომპანიის ყველა თანამშრომლის შეთანხმებული მუშაობის შედეგია. ფინანსური თვალსაზრისით კომპანიამ შეძლო და შესრულა დასახული ამოცანების ნაწილი.

შპს კია საქართველო გამოცდილი, მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელობით და თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული, რომელთაგან ბევრს აქვს თხუთმეტი-ოცი წლის გამოცდილება თავიანთ სფეროებში. შპს კია საქართველოს აქვს ადგილობრივი საავტომობილო ბიზნესის დიდი გამოცდილება და კარგად იცნობს სექტორების კონკრეტულ პრობლემებს.

კომპანია მუდმივად ახორციელებს ღონისძიებებს თანამშრომელთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შრომის უსაფრთხო და კომფორტული პირობების უზრუნველსაყოფად. ყოველწლიურად ხდება თანამშრომლების გადამზადება მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რისი შედეგიც ამაღლებულ და ეფექტურ მწარმოებლურობაში ვლინდება.

2024 წელს საზოგადოების საქმიანობა კვლავ მიმართული იყო საზოგადოების სტაბილურობის, მომგებიანობისა და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფაზე, ასევე პარტნიორების ინტერესების დაცვაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

შპს კია საქართველოს მუშაობის პრიორიტეტი მომავალ წელსაც იქნება კომპანიის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა მომხმარებლისთვის განახლებული პროდუქტის შეთავაზებით, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და დამატებითი სერვისების განვითარების ხარჯზე.

ვვარაუდობთ, რომ მენეჯერთა ჩამოყალიბებულ ეფექტურ გუნდს და კოლექტივს გააჩნია საკმარისი პოტენციალი იმისათვის, რომ გადაჭრას დასახული ამოცანები 2025 წელშიც.

შპს კია საქართველოს დირექტორი
გიორგი ამაშუკელი

31.07.2025



შპს კია საქართველოს საქმიანობის მიმოხილვა

შპს კია საქართველო (KIA) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებულია საქართველოში 2007 წელს. KIA არის კორეული ბრენდის, KIA-ს ოფიციალური დისტრიბუტორი და დილერი საქართველოში. კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში და აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ავტომობილების საჩვენებელი დარბაზი და სერვის-ცენტრი.



კომპანიის შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან 2024 წელს 37 827 581 ლარს შეადგენს, რაც ნაკლებია 2023 წლის მონაცემზე (2023 წელი: 56 956 846 ლარი). კომპანიაში 2024 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ 45 შეადგინა.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანია არ ფლობს ფილიალებს.

სამომავლო გეგმები.

კომპანიის მიზანია ყოველწლიურად გაზარდოს ბაზრის წილი და აქტიურად გაიმყაროს პოზიცია საავტომობილო ინდუსტრიის სფეროში. კომპანიას საავტომობილო ბაზრის მნიშვნელოვანი წილი დაკავებული აქვს და მუშაობს მის შენარჩუნებასა და ზრდაზე, რაც ანგარიშგებაში წარმოდგენილ მაჩვენებლებში ნათლად აისახება.

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის კომპანია არ ფლობს არც საკუთარ და არც სხვა კომპანიის აქციებს.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, 2024 წელს კომპანიას კვლევებისა და განვითარების სფეროში დამატებითი ღონისძიებები არ ჩატარებია.

კია საქართველოს საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოების 2024 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

	2024	2023	% ცვლილებები
ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები			
ამონაგები	37 827 581	56 956 846	-34%
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	-31 004 007	-45 801 393	-32%
საერთო მოგება	6 823 574	11 155 453	-39%
სხვა შემოსავალი	125 815	1 045 698	-88%
სხვა ხარჯი	-72 983	0	0%
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	-1 016 763	-1 156 645	-12%
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-1 243 969	-1 484 239	-16%
ფინანსური აქტივების გაუფასურების ცვლილება	123 100	8 634	1326%
საოპერაციო მოგება	4 738 773	9 568 901	-50%
ფინანსური შემოსავალი	710 810	387 769	83%
ფინანსური ხარჯები	-1 187 512	-997 995	19%
წმინდა შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	-555 701	956 363	-158%
მოგება დაბეგვრამდე	3 706 369	9 915 038	-63%
მოგების გადასახადი	0	0	
მთლიანი სრული შემოსავალი	3 706 369	9 915 038	-63%

საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	სხვაობა
აქტივები			
სულ გრძელვადიანი აქტივები	2 505 136	3 113 165	-20%
სულ მოკლევადიანი აქტივები	22 349 647	27 257 280	-18%
სულ აქტივები	24 854 783	30 370 445	-18%
მფლობელთა კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8 884 747	8 884 747	
გაუნაწილებელი მოგება	6 388 294	6 384 477	
სულ კაპიტალი	15 273 042	15 269 225	0%
ვალდებულებები			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	924 258	1 102 251	-16%
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	8 657 483	13 998 969	-38%
სულ ვალდებულებები	9 581 741	15 101 220	-37%
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	24 854 783	30 370 445	-18%

კომპანიის ლიკვიდურობის და მომგებიანობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	2024	2023
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.47	1.58
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.58	1.95
ფინანსური ლევერიჯი	29%	36%

კომპანია ორიენტირებულია ბიზნესის მუდმივ განვითარებასა და ბაზარზე პოზიციების გამყარებაზე. როგორც ცხრილიდან ჩანს კომპანიამ 2024 წელს შეინარჩუნა (მცირედით შემცირდა) სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი. მკვეთრად გაზრდილია მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი წინა წელთან შედარებით, რომელიც შეადგენდა 1.95 ნიშნულს, გაიზარდა 2.58-მდე. რეალურად სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტიც 1-ზე მეტს შეადგენს ფაქტიური რეალიზაციებიდან გამომდინარე, რადგან 2024 წლის ბოლოს არსებული მარაგების 95%, 2025 წლის პირველ ორ კვარტალში არის რეალიზებული, ხელმძღვანელობის და გუნდის მოქნილი სალიკვიდაციო პოლიტიკის შედეგად.

რაც შეეხება ფინანსურ ლევერიჯს, 36%-დან 2024 წლის ბოლოს კომპანია მიღებული სესხების შეფარდებით აქტივებთან შეადგენს 29%-ს. აღნიშნულის შემცირება გამოწვეულია მიღებული სესხების შემცირებით.

კომპანიის რენტაბელობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	2024	2023
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE)	24%	65%
ერთიანი აქტივების რენტაბელობა (ROA)	15%	33%

2023 წელთან შედარებით, 2024 წელს საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE) არის შემცირებული და შეადგენს 24%-ს, რაც მთლიანი სრული შემოსავლის შემცირებით არის გამოწვეული.

ასევე, შემცირებულია ერთიანი აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტიც. აღნიშნული გამოწვეულია როგორც აქტივების შემცირებით, ასევე მთლიანი სრული შემოსავლის შემცირებითაც.

საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

გარემოს დაცვა

კომპანიას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შემუშავებული აქვს საწარმოო ნარჩენების მართვის გეგმა. გეგმა გათვლილია სამ წელიწადზე. მასში მოყვანილი მონაცემები მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ საპროგნოზოა და ეყრდნობა გასული წლის არსებულ მონაცემებსა და კომპანიაში დაგეგმილ აქტივობებს. ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განხორციელებული ღონისძიებები - ნარჩენების შემცირება / მინიმიზაცია ან ნარჩენების წარმოქმნის პრევენცია გულისხმობს ნარჩენების შემცირებას წარმოქმნამდე. ნარჩენების შემცირებას კომპანია აღწევს სხვადასხვა გზების საშუალებით, მაგალითად: ხელახალი გამოყენება, გადამუშავება, ენერგიად გარდაქმნა.

ნარჩენების მართვა კომპანიაში ხორციელდება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის გარეშე, უსაფრთხო მართვის პროცესი მოიცავს:

- ნარჩენების იდენტიფიკაციას მათი სახეების მიხედვით;
- ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას, მათი დროებითი განთავსებისათვის საჭირო პირობების დაცვით, რათა გამოირიცხოს ნარჩენების მავნე ზემოქმედება გარემოზე და ადამიანთა ჯანმრთელობაზე;
- ნარჩენების ტრანსპორტირება ისეთი ფორმით, რომ გამოირიცხოს იქნას ნარჩენების გაფანტვა, დაკარგვა, ავარიული სიტუაციების შექმნა, გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება;
- ნარჩენების რაოდენობის შემცირება;
- ნარჩენების მეორადი გამოყენება;
- ნარჩენების მართვაზე პერსონალის პასუხისმგებლობის განსაზღვრა;

- ნარჩენების, სერვის-ცენტრში დროებით (შემდგომ ტრანსპორტირებამდე) დასაწყობება-შენახვისათვის გამოყოფილი ადგილის პერიოდული მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზების დროული აღმოფხვრა.

დამატებით კომპანიამ ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლის მიხედვით განსაზღვრა გარემოსდაცვითი მმართველი, რომლის ძირითადი მოვალეობებია:

- ✓ კომპანიის ნარჩენების გეგმის მომზადება და გაახლება;
- ✓ კომპანიის ნარჩენების გეგმის განხორციელების ორგანიზება;
- ✓ ნარჩენების მართვის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე შიდა კონტროლის განხორციელება.

კომპანიის მომსახურე პერსონალს ეტაპობრივად, განახლებად რეჟიმში უტარდება ტრენინგები ზოგადად ნარჩენების მართვის, ნარჩენების სეპარირებული შეგროვების, ნარჩენების დროებით დასაწყობება/შენახვის მეთოდების, ნარჩენების პრევენციის ღონისძიებების შესახებ.

საკადრო პოლიტიკა

ადამიანური რესურსების დაგეგმვის პროცესი კომპანიაში მიმდინარეობს ყოველი წლის მეოთხე კვარტალში. ამ მიზნით ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი აკეთებს საშტატო ერთეულების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს ოპტიმიზაციის გეგმას, განსაზღვრავს ახალი კადრების საჭიროებას.

2024 წელს კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა 45 ადამიანს შეადგენდა. 2023/2024 წლების საშტატო ერთეულების ანალიზის შედეგების მიხედვით შესაძლოა 2025 წელს დამატებითი კადრების აყვანაზე იფიქროს კომპანიამ.

კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფერო არის ახალი ავტომობილების ბაზარი, საავტომობილო სათადარიგო ნაწილები და მომსახურება.

კომპანიის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს ქვეყანაში ამ დროისათვის საავტომობილო ბაზრის რეგულაციების არ არსებობა. სამომავლოდ სახელმწიფომ შესაძლებელია მიიღოს იმგვარი რეგულაცია, რომელიც საავტომობილო წარმოების ადგილობრივი ბაზრის შექმნას შეუწყობს ხელს, რაც ზიანს მოუტანს იმპორტიორ კომპანიებს.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის შეცვლასთან და რეგიონში ფორს-მაჟორულ (საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და გაფიცებებთან) მდგომარეობასთან.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში კომპანია ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. კომპანია არ ახორციელებს სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

კომპანიას გააჩნია ფინანსური სამსახური / დეპარტამენტი - სტრუქტურული დანაყოფი, რომლის ძირითადი მოვალეობაა ბიუჯეტის კოორდინირება, მის დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება, აღრიცხვის წარმოება, ხარჯებისა და შემოსავლების ბიუჯეტით გათვალისწინებულ პარამეტრებთან შესაბამისობის კონტროლი. იგი ანგარიშვალდებულია ხელი შეუწყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის პრინციპების დანერგვას. ამასთან, დაწესებულების ფინანსური სამსახური / დეპარტამენტი ხელმძღვანელებისგან მიღებული შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს ფინანსური მართვისა და კონტროლის ანგარიშს, რომელიც წარედგინება კომპანიის დამფუძნებლებს და დირექტორს;

ფინანსური რისკების მართვისა და კონტროლის ფარგლებში ანგარიშგების ჩამოყალიბების მიზანია დაწესებულების ხელმძღვანელობისთვის სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდება, როგორც ცალკეული კომპანიის ბიუჯეტის შესრულებისა და შედეგიანობის, ისე კომპანიის ფინანსური მართვისა და კონტროლის დანერგვის და არსებული მდგომარეობის შესახებ, რის საფუძველზეც შესაძლებელია ფინანსური და საოპერაციო შედეგების დროული და ეფექტიანი ანალიზი, ასევე აღნიშნული ინსტრუქციის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, ხარვეზების დროული იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და არსებული სისტემის მუდმივი სრულყოფა. ფინანსური რისკების მართვისა და კონტროლის ანგარიშგების პროცესი ხორციელდება შემდეგი პერიოდულობით:

ა) ყოველკვირულად (მიმდინარე გაყიდვების და ნაღდი ფულის მოძრაობის ანალიზი);

ბ) ყოველთვიურად (თვის ფინანსური ანგარიშგების, ბიუჯეტთან შედარების, გაყიდვების, ფულის მოძრაობის და საპროგნოზო ოპერაციების ანალიზი);

გ) კვარტალურად (ყველა ბ კატეგორიაში აღნიშნულ ანალიზთან ერთად კომპანიის პერსპექტივების ანალიზი, სვით ანალიზი, მიმდინარე კოეფიციენტების, ბრუნვადობის ანალიზი და ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული პერსპექტივების და რისკების ანალიზი);

დ) წლიურად (ბ და გ პუნქტში აღნიშნული საკითხებისგან დამატებით, მომდევნო წლის ბიუჯეტის შედგენა, გასული წლის დეტალური ანალიზი, ახალი მიზნების ჩამოყალიბება და მოცემული მიზნების მიღწევის გეგმის შედგენა).

აღნიშნული სახით ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა საშუალებას იძლევა უმოკლეს დროში აღმოჩენილი იქნას ფინანსური რისკები ან/და ბიზნესის პერიოდული რყევები დაგეგმილ ბიუჯეტთან მიმართებაში. მოცემული გარემოებების დადგენის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების და ამ გადაწყვეტილებების შესრულებაზე სისტემატიური ანგარიშგების წარდგენით კომპანია ეფექტურად ოპერირებს ბიუჯეტით დასახული მიზნების და შედეგების მისაღწევად.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს კომპანიის ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, პარტნიორების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არ არსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას. აღნიშნული ძალიან კარგად ცნობილია მმართველი რგოლისთვის, კომპანიის არსებული შედეგი და დინამიკა ნათლად ასახავს ფინანსური მდგრადობის დონეს და კომპანიის მიმართულებას უმოკლეს დროში ფინანსური ლევერიჯის მაქს ზღვარი გახდეს 50%-ზე ნაკლები.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და ფინანსირებას ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების საჭირო მოცულობით უზრუნველყოფას. ხელმძღვანელობის აზრით, ეს კომპანიას აძლევს საკმარის მოქნილობას მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

კომპანია მიმდინარე პერიოდში ძირითადად საკრედიტო ვალდებულებების ნაწილში იყენებს მოკლევადიან დაფინანსებებს, რომლის მიზნობრიობაც წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების, უმეტესად ავტომობილების შეძენას. საკრედიტო ლიკვიდურობა პირდაპირ კავშირშია მოცემული საბრუნავი საშუალებების რეალიზაციასთან, რაც გულისხმობს იმას, რომ საკრედიტო ვალდებულებების დაფარვის წყარო არის ამავე კრედიტით შეძენილი ავტომობილების რეალიზაცია. რაც შეეხება კონკრეტულ შეკვეთებს, შეკვეთის განთავსება ხდება როგორც გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (კორპორატიული კლიენტი), ასევე ხელშეკრულების გაფორმების გარეშე (საცალო კლიენტი). ხელშეკრულებით გამყარებულ ნაწილში, როგორც წესი ფულის ლიკვიდურობის რისკი ფაქტიურად არ არსებობს. რაც შეეხება ხელშეკრულების გარეშე არსებულ შეკვეთებს, მოცემულ შემთხვევებში კომპანია აკეთებს არჩევანს სტატისტიკაზე დაყრდნობით, სადაც პრიორიტეტი მინიჭებულია სწრაფად რეალიზებად პროდუქციაზე. როგორც წესი მარაგის რეალიზაციის ციკლი მერყეობს 3-6 თვის შორის. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მოცემული ვადების დარღვევის რისკი, კომპანია მოცემული ვადის გასვლამდე სხვადასხვა აქციებით და ფასდაკლებებით ახდენს მის დაზღვევას/მინიმუმამდე დაყვანას.

კომპანია ავტომობილების რეალიზაციას უმეტესად კონსიგნაციის გარეშე ახდენს, რაც ნაღდი ფულის ბრუნვის რისკს თავის

მხრივ მნიშვნელოვნად ამცირებს. გარდა ამისა, კომპანიის სტაბილური საოპერაციო საქმიანობა იძლევა იმის შესაძლებლობას რომ ლიკვიდურობის მაღალი რისკის წინაშე არ დადგეს.

მაჩვენებლები გაანგარიშებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად ანგარიშგების მონაცემების თანახმად. საზოგადოების აუდიტორის შპს “არ-ეს-ემ საქართველოს“ მიერ გაცემულია აუდიტორული დასკვნა კომპანიის 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.